წარმომადგენლობითი საბჭოს (რიგგარეშე) სხდომა №36

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.
სტუ-ს ფაკულტეტების მიხედვით, სრ. პროფესორის, ასოც. პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობების დასაკავებლად საკონკურსო ადგილების შესახებ საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ლევან კლიმიაშვილი;
2.
სტუ-ს საშტატო განრიგიდან დაუსწრებელი სწავლების განყოფილების ამოღების საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
3.
მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 ივლისის (რიგგარეშე) სხდომის
ოქმი №36

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 44. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. ვალიდა სესაძე, პროფ. მალხაზ ხუციშვილი, სტუდენტი პაატა მალაზონია.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – ბატონო არჩილ! მინდა ვისარგებლო შემთხვევით, რომ თქვენ დღეს აქ ბრძანდებით, პირადად ჩემი სახელით და საბჭოს წევრების სახელით გამოვხატო უდიდესი მადლიერება იმ ძალისხმევისათვის, იმ თავდადებისათვის, მონდომებისა, და თავგანწირული ბრძოლისათვის, რომელიც აწარმოეთ, რომ გადაჭრილიყო ასაკობრივი პრობლემა. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ მუხტისთვის, რომლითაც თქვენ ხართ დამუხტული, რომ ააღორძინოთ უნივერსიტეტი, აღუდგინოთ ძველი პრესტიჟი და დიდება და მინდა დაგარწმუნოთ, რომ წარმომადგენლობითი საბჭო თქვენ გვერდით დადგება ყველა სასიკეთო წამოწყებაში.

ეხლა წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ს ფაკულტეტების მიხედვით სრ. პროფესორის, ასოც. პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობების დასაკავებლად საკონკურსო ადგილების დამტკიცების შესახებ. მოხსენებისათვის ვთხოვ სტუ-ს რექტორს, ბ-ნ არჩილ ფრანგიშვილს.

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – საშტატო განრიგის შესადგენად გვქონდა ორი მიმართულება – ერთი სოციალურად ორიენტირებული და მეორე –შტატების მკვეთრი შემცირების ხარჯზე, ხელფასების საგრძნობი ზრდით. საკითხი განიხილეს დეკანებმა და აკადემიურმა საბჭომ. შევჯერდით პირველ ვარიანტზე. თუ თქვენც მხარდაჭერას გამოთქვამთ, მაშინ ეს ვარიანტი წავა დასამტკიცებლად სამინისტროში და შემდეგ შევა ძალაში. დაგვჭირდება დამატებით 500 000 ლარი, რომ დავაკმაყოფილოთ 1112 პროფესორი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – თუ გათვალა ეს ყველაფერი ეკონომიკურმა სამსახურმა?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ჩვენ ბიუჯეტში არსებობს მუხლი, რომელსაც ჰქვია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება და ამ მუხლიდან თანხა გადავა ამ პუნქტში.

რექტორი – გაითვალისწინეთ ყველამ, რომ ვცხოვრობთ რეალურ სამყაროში, ამიტომ ხელშეკრულებაში იქნება ჩადებული ის, რომ თუ შემცირდა საათები, შესაბამისად, შემცირდება ხელფასიც.

სასწრაფოდ უნდა ჩამოყალიბდეს საკონკურსო კომისიის დამხმარე ტექნიკური სამდივნო.

სპიკერი – ვინ არის მომხრე, რომ საშტატო განრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით – 1112 საშტატო ერთეული და შესაბამისი სახელფასო ფონდი განისაზღვროს 12073188 ლარით. გთხოვთ ვუყაროთ კენჭი.

სტუ-ის 2009 წლის წარმოდგენილ საშტატო განრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 ივლისის №36 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 ივლისის №36 სხდომაზე, სტუ-ს რექტორის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი

სტუ-ს ფაკულტეტების მიხედვით სრ. პროფესორის, ასოც. პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობების დასაკავებლად საკონკურსო ადგილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვიტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის საშტატო განრიგი, რომლითაც აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 1112 საშტატო ერთეულით და სახელფასო ფონდი 12073188 ლარით (იხ. დანართი 1).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეორე საკითხს – სტუ-ს საშტატო განრიგიდან დაუსწრებელი სწავლების განყოფილების ამოღების საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მოგახსენებთ, ვინაიდან სტუ-ს დაუსწრებელი სწავლების განყოფილებამ ლიკვიდაცია განიცადა, საჭირო გახდა სტუ-ს საშტატო განრიგიდან მისი ამოღების საკითხის დაყენება. რაც შეეხება დისტანციური სწავლების განყოფილებას იგი ჯერჯერობით არ არის შექმნილი და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მრავალი კითხვა არსებობს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს საშტატო განრიგიდან დაუსწრებელი სწავლების განყოფილების ამოღების საკითხი.
წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 ივლისის №36 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 ივლისის №36 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს საშტატო განრიგიდან დაუსწრებელი სწავლების განყოფილების ამოღების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვიტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს საშტატო განრიგიდან დაუსწრებელი სწავლების განყოფილების (7 საშტატო ერთეული) ამოღების საკითხი.

მიმდინარე საკითხები:

სპიკერი – მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით სიტყვას გადავცემ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილს.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – რამდენიმე იჯარის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. ერთ-ერთი ასეთი ობიექტია ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე არსებული (386 მ^2) ფართობი. ფართობი დიდია (386 მ^2) და გვინდა საბაზრო ფასის შესაბამისად მოვახდინოთ მისი გაიჯარება. მსურველები არიან, მაგრამ სურთ ფართობის ნაწილი და არა მთლიანი ფართობი. გთხოვთ, ნება დაგვრთოთ ეს ფართობი გავაიჯაროთ ორ განცალკევებულ ობიექტად. ეს შესაძლებელია, რადგან აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელები.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე არსებული 386 მ^2 ფართობის ორ ობიექტად (156 მ^2 და 230 მ^2 ფართობების) გაიჯარების საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 ივლისის №36 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 ივლისის №36 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე, 386 მ^2 გასაიჯარებელი ფართობის 2 ობიექტად (156 მ^2 და 230 მ^2 ფართობებად)გაიჯარების საკითხი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე არსებული 386 მ^2 ფართობის ორ ობიექტად (156 მ^2 და 230 მ^2 ფართობებად) გაიჯარების საკითხი.

სპიკერი – სიტყვას გადავცემ აკადემიური საბჭოს მდივანს, ბ-ნ გიორგი სალუქვაძეს.

პროფ. გიორგი სალუქვაძე – სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ გასულ სხდომაზე (3 ივლისი 2009 წ.) მიიღო გადაწყვეტილება – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი მუშაობისა და მასში შეტანილი დიდი წვლილისა და დამსახურებისათვის, ასევე წარმომადგენლობით საბჭოში აქტიური მოღვაწეობისათვის, სტუ-ის საპატიო დიპლომით დაჯილდოვდნენ ჩვენი

პროფესორები, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ბატონები: ირაკლი ზეგდენიძე (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი), დავით ჯაფარიძე (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი) და ნოდარ ქაჯაია (სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი). გთხოვთ, დაამტკიცოთ წარმოდგენილი კანდიდატურები.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი კანდიდატურების სტუ-ს საპატიო დიპლომით დაჯილდოების საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 ივლისის №36 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 ივლისის №36 სხდომაზე, სტუ-ის აკადემიური საბჭოს მდივნის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, წარმომადგენლობითი საბჭოს სამი წევრის სტუ-ს საპატიო დიპლომით დაჯილდოებისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების ფულადი ჯილდოს გადაცემის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს სამი წევრი: პროფ. ნოდარ ქაჯაია, პროფ. დავით ჯაფარიძე და პროფ. ირაკლი ზედგენიძე, დაჯილდოვდნენ სტუ-ს საპატიო დიპლომით და გადაეცეთ ფულადი ჯილდო (ერთი თვის შრომის ანაზღაურება).

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ წინა სხდომაზე დასმული საკითხი, რომელიც ეხებოდა სამშენებლო ფაკ-ის III კურსის სტუდენტ ნინო ხუციშვილს, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის ინფორმაციით, დადებითად გადაწყდა ფაკუტეტის დონეზე. შემდეგ მან აუწყა საბჭოს წევრებს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,

ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/